შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

გზამკვლევი პროფესიული მასწავლებლებისთვის

- პროფესიული მასწავლებელი წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს/მოდულს, უძღვება მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის/მოდულის ადაპტირებაში.
- პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიასთან დაკავშირებულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს და შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა შეეძლოს სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.

სამსახურში მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განცხადება სამსახურში მიღების შესახებ;
- ავტობიოგრაფია/CV;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ;

➢ არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.

მასწავლებელის უფლება-მოვალეობებია:

- სასწავლო პროცესის წარმართვა;
- პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;
- დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი და სწავლების მეთოდები. განახორციელელოს თეორიული და პრაქტიკული სწავლება;
- მოდულის დაწყებამდე 7 სამუშაო დღით ადრე კალენდარული გეგმის შემუშავება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა.
- შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ბრძანების საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;
- პროფესიული სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე;
- შეფასების ინსტრუმენტების შეგროვება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა, მოდულის დასრულებიდან 6 დღის განმავლობაში.

პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია:

- პროფესიული ვალდებულების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი, პუნქტუალური, მოწესრიგებული, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული.
- პროფესიული საქმიანობა განახორციელოს ეთიკის ნორმების სრული დაცვით და კომპეტენტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები
- დაიცვას სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფედენციალურობა. დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის საავტორო უფლებები.
- მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს სწავლებისათვის განკუთვნილი დრო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად.
- პატივი სცეს სხვების განსხვავებულ შეხედულებებს და მრწამსს.
- პატივი სცეს პროფესიულ სტუდენტთა აზრს, შეუქმნას მათ ყველანაირი პირობა თავიანთი იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისათვის.
- არ მიაყენოს პროფესიულ სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფა, შეინარჩუნოს სიმშვიდე კონფლიქტურ სიტუაციებში. გაითვალისწინოს პროფესიულ სტუდენტთა აზრი და მიიღოს ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილებები.
- პატივი სცეს კოლეგებს, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასოს მათი საქმიანობა.
- არ გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის პიროვნული დამცირება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება

პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- ვადიანი შრომთი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
- კანონმდებლობით განსაზღრული სხვა შემთხვევები;

- პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას და ანაზღაურების წესს განსაზღვრავს დირექტორი ბრძანებით;

- პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

- პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქცია დებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, შინაგანაწესს და კოლეჯში მოქმედ სხვა მარეგულირებელ აქტებს.

დამატებით ინფორმაციის შეგიძლიათ გაეცნოთ კოლეჯის ვებგვერდზე
http://msc.edu.ge/

ელფოსტა: collejimsc@gmail.com

მისამართი: მარნეული, რუსთაველის #13